უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სწავლა-სწავლების მეთოდოლოგიის გავლენა სტუდენტების კარიერულ განვითარებაზე

მომხსენებლები: ერეკლე გაფრინდაშვილი
ირინა ჯანხოთელი
მანანა კუკავა

განსახილველი საკითხები

- თემის აქტუალობა და პრაქტიკული ღირებულება;
- კვლევის მიზანი და საკვლევი საკითხები;
- ლიტერატურის მიმოხილვა;
- ესტონეთი როგორც ხარისხიანი უმაღლესი განათლების სამაგალითო მოდელი;
- კვლევითი ნაწილი;
- დასკვნები;
- რეკომენდაციები.

თემის აქტუალობა და პრაქტიკული ღირებულება

დღის წესრიგში დგას შემდეგი საკითხი, სტუდენტებმა მინიმალური ფიზიკური, მენტალური თუ მატერიალური დანახარჯით მიიღონ ხარისხიანი და პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენებადი განთლება;

მიიჩნევა, რომ მეთოდოლოგია, რომელიც ამ ეტაპზე გამოიყენება უნივერსიტეტებში უკვე მოძველებულია და სტუდენტი, რომელიც სწავლას ასრულებს არ არის იმ კომპეტენციებით აღჭურვილი, რომელიც მას კარიერულ წინსვლაში დაეხმარებოდა.

კვლევის მიზანი და საკვლევი საკითხები

რამდენად ეფექტური/ეფექტიანი არის სწავლა-სწავლების მეთოდოლოგია, რომელსაც დღეს უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები სტუდენტებს სთავაზობენ;

- დადგინდეს რა მეთოდოლოგიებს იყენებს პროფესორი სწავლა-სწავლების პროცესში;

რა მოლოდინები ჰქონდათ სტუდენტებს, როდესაც ამა თუ იმ პროფესიას ირჩევდნენ;

- დადგინდეს მოქმედებს თუ არა სწავლა-სწავლების მეთოდოლოგია სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა შემდგომ კარიერულ განვითარებაზე;

კვლევის მიზანი და საკვლევი საკითხები

- რა კომპეტენციები გამოუმუშავდათ სტუდენტებს უსდ-ში სწავლისას;
- რამდენად არიან უსდ-ს კურსდამთავრებულები პროფესიით დასაქმებულები;
- დადგინდეს უსდ-ს დასრულების შემდგომ რამდენად ემთხვეოდა კურსდამთავრებულთა კომპეტენციები დამსაქმებელთა მოთხოვნებს.

ლიტერატური მიმოხილვა

- **საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ:**

პიროვნული პოტენციალის რეალიზება, **შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება**, თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე პირების მომზადება, შიდა და საგარეო შრომის ბაზარზე უმაღლესი განათლების მქონე პირთა კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა, სტუდენტთა და ფართო საზოგადოების მოთხოვნათა შესაბამისი მაღალი ხარისხის უმაღლესი განათლების შეთავაზება დაინტერესებული პირებისათვის;

- უმაღლეს განათლებაზე პასუხისმგებელი ევროპელი მინისტრების კონფერენციის კომუნიკე ლეუვენი და ლოუვეინ-ლა-ნეუვე, ბელგია 2009 წლის 28-29 აპრილი;
- რომის მინისტერიალის კომუნიკე 19 ნოემბერი 2020.

ლიტერატური მიმოხილვა

- დამსაქმებლები მიიჩნევენ, რომ სასწავლო პროგრამებში დასაქმებისათვის საჭირო უნარების განვითარება აუცილებლად უნდა იყოს ასახული, იმისათვის რომ სტუდენტებმა შეძლონ სწორად თვით-პრეზენტაცია;

- თეორიული კურსიც შეიძლება შედგეს დამსაქმებელთან , დამსაქმებელთა ტრენინგ-ცენტრებთან ;

- მნიშვნელოვანია, რომ პროგრამა იყოს უფრო ფართო და არ იყოს კონკრეტულ ვიწრო საკითხზე ორიენტირებული. ამასთან სწავლების პროცესში სასურველია ხდებოდეს ზოგადად მუშაობისათვის საჭირო პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება.

(ჯიბლაძე, გ. ხუჯაძე, ნ. ძაგანია, ლ. 2011)

ლიტერატური მიმოხილვა

- 2013 წელს, განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, „საქართველოში უმაღლესი აკადემიური განათლების მქონე დასაქმებულ პირთა შორის საკუთარი სპეციალობით დაახლოებით 60% მუშაობს, რაც ნიშნავს, რომ ქვეყნის მასშტაბით უმაღლესი განათლების მქონე პირთა მხოლოდ 24% დასაქმებულია და მუშაობს საკუთარი სპეციალობით.“

- საუნივერსიტეტო სწავლება (იგულისხმება აკადემიური პროგრამების სილაბუსები, სწავლების მეთოდები, ინფრასტრუქტურა) თეორიული ცოდნის გარდა, სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე უნდა იყოს ორიენტირებული, რისი ლოგიკური გაგრძელებაც სტუდენტების სტაჟირების შესაძლებლობით უზრუნველყოფა იქნება.

(ამაშუკელი, მ. ლეჟავა, დ. 2015)

ლიტერატური მიმოხილვა

- ევროპის ქვეყნებში უმაღლესი განათლების ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის გასაზრდელად კონკრეტული სტრატეგიები გამოიყენება;

- უმაღლესი განათლების უკუგების შემდგომი ზრდისთვის შემაფერხებელ ფაქტორებს წარმოადგენს უმაღლესი განათლების მქონე პირთა კომპეტენციების ბაზრის მოთხოვნებთან ნაკლები თავსებადობა და თვითდასაქმების დაბალი მაჩვენებლები;

- საქართველოში უმაღლესი განათლების ბაზრის მოთხოვნებთან თავსებადობის გაზრდისათვის მნიშვნელოვანია საუნივერსიტეტო განათლების ხარისხის მონიტორინგის მექანიზმებში შედეგზე ორიენტირებული კონტროლის მექანიზმების გაძლიერება

(ბრეგვაძე, თ. 2013)

ლიტერატური მიმოხილვა

- ,,სწავლის პროცესი მონოტონური და მოსაბეზრებელია, აქტიურად ხდება უშინაარსო და მოძველებული ლიტერატურის მოწოდება, მასალებიც უფრო თეორიული ხასიათისაა, სემინარზე კიდევ უფრო გვაქვს საშუალება ჩავერთოთ, რადგან მეტ–ნაკლებად თანამონაწილეები ვხდებით“;

- ,,სასწავლო კურსის შინაარსი ხშირად ვერ მოდის თანამედროვე ბაზრის, კერძო სექტორის მოთხოვნებთან. რჩება შთაბეჭდილება, რომ ტყუილად დროს ვკარგავთ. სასურველია, რომ მიღებული ცოდნა მეტად უწყობდეს ხელს ჩვენს რეალურ პროფესიულ უნარებს. ამისათვის სურვილი გვაქვს სასწავლო პროგრამებს დაემატოს სწავლების მეტი პრაქტიკული კომპონენტი“.

(ტაბატაძე, ლ. 2016)

ლიტერატური მიმოხილვა

- ,,სამწუხაროდ, [უსდ თავის სტუდენტს] ამლევს სრულიად თეორიულ ცოდნას და არანაირ შეხებას პრაქტიკასთან.”
- ,,ის თეორიული ცოდნა, რომელიც მიიღო, [დასახელე- ბულია კონკრეტული დისციპლინა] ისწავლა, თეორიები დაამუშავა, მაგრამ როგორც კი მოვიდა ორგანიზაციაში, ვერ ხვდება, ორიენტირს ვერ აკეთებს ეს თეორიები პრაქტიკაში როგორ გადმოიტანოს, როგორ ჩაატაროს გასაუბრება, როგორ შეადგინოს კითხვარი, როგორ დაწეროს ტექსტი.~ (დამსაქმებლების ფოკუსჯგუფი).”
- მოცემული კვლევის მიხედვით გამოიკვეთა, რომ ინდივიდუალური (ზეპირი) პრეზენტაციების და ჯგუფური დავალებების/პროექტების მომზადება, ასევე პრაქტიკული დავალებების, როგორც ინდივიდუალურად ისე ჯგუფურად შესრულება სამი ყველაზე აქტიურად გამოყენებადი სწავლების მეთოდი იყო (აღნიშნა 80%-ზე მეტმა კურსდამთავრებულმა). (ამაშუკელი, მ. 2022)

ლიტერატურის მიმოხილვა

- ,,გამოკითხული კურსდამთავრებულების 45% აღნიშნავს, რომ მათი დასაქმების უნარის გაძლიერების მიზნით, უმაღლესი სასწავლო დაწესებულება გარკვეულ ზომებს მიმართავდა, ხოლო 55% გამოკითხვაში საწინააღმდეგო პოზიციას აფიქსირებს“.
- ,,სტაჟირებასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ კურსდამთავრებულთა ნახევარზე მეტს (53%), უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში,სტაჟირება არგაუვლია,რადგან ესსავალდებულოარყოფილა. მათგან განსხვავებით, გამოკითხულთა 18% ამბობს, რომ საკუთარი სურვილით, სტაჟირების გამოცდილება მაინც მიიღო.“
- ,, გამოკითხული კურსდამთავრებულები საბაკალავრო საფეხურზე მიღებულ უმაღლეს განათლებას, მთლიანობაში, დადებითად აფასებენ. ასევე, გამოკითხულთა 49% მიღებულ განათლებას აფასებს, როგორც მაღალი ხარისხის განათლებას.“ (ამაშუკელი, მ. 2022)

ლიტერატურის მიმოხილვა

დასაქმების მაჩვენებლები

	მიღებული განათლება არის მაღალი ხარისხის	მიღებული განათლება არ არის მაღალი ხარისხის
სპეცილობით დასაქმებული	54%	46%
არასპეციალობით დასაქმებული	43%	57%

უსდ-ს როლი სტუდენტების დასაქმების უნარის გაზრდაში



ესტონეთი როგორც ხარისხიანი უმაღლესი განათლების სამაგალითო მოდელი

- ესტონეთის საგანმანათლებლო სფეროში, ფართოდ არის დანერგილი ინფორმაციული ტექნოლოგიები;
- ყველა სტუდენტს აქვს განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობა მიუხედავად მათი სოციალურ-ეკონომიკური ფონისა თუ საცხოვრებელი ადგილის გეოგრაფიული მდებარეობისა;
- ესტონეთის უსდ-ების უმეტეს ნაწილს თავიანთი წარმომადგენლები ჰყავთ ე.წ დამსაქმებელთა და პროფესიულ გაერთიანებებში, რომელთა მიზანია უნივერსიტეტმა შუამავლის როლი ითამაშოს სტუდენტებსა და დამსაქმებლებს შორის;
- ესტონეთში უსდ-ები თავისუფლები არიან ბიუჯეტის დამტკიცებასა და რექტორის არჩევის საკითხში.

ესტონეთი როგორც ხარისხიანი უმაღლესი განათლების სამაგალითო მოდელი

- ესტონეთის უსდ-ში მაღალია ე.წ სამეწარმეო პროგრამებში ჩართულობა, ამით სტუდენტებს შესაძლებლობა ეძლევათ, შეიძინონ პრაქტიკული უნარ-ჩვევები და უშუალო უკუკავშირი მიიღონ იმ დამსაქმებლებისა და კომპანიებისაგან, როლებიც მათ სფეროში მოღვაწეობენ;
- ესტონეთში უსდ-ს კურსდამთავრებულთა დაახლოებით 80% საკუთარი პროფესიით არის დასაქმებული;
- ესტონეთის საჯარო უნივერსიტეტებს საკმაოდ ფართო ავტონომია აქვთ. მათ თავისუფლად შეუძლიათ ახალი კურიკულუმების ჩამოყალიბება/მოდიფიკაცია, სტუდენტების მიღების წესისა და კრიტერიუმების ცვლილება, საკუთარსა თუ სტუდენტების ინტერესებზე მორგება;

ევროპის უნივერსიტეტთა ავტონომიურობა

ესტონეთი



საქართველო



eua, 2023

Autonomy dimension	2022	2022 Cluster	Rank
Organisational autonomy	66%	Medium high	18
Financial autonomy	71%	Medium high	9
Staffing autonomy	96%	High	4
Academic autonomy	48%	Medium low	27

საქართველო

Autonomy dimension	2010	2017	2022	2022 Cluster	Rank
Organisational autonomy[2]	85%	85% →	73% ↘	Medium high	13
Financial autonomy	94%	77% ↘	77% →	Medium high	4
Staffing autonomy	100%	100% →	100% →	High	1
Academic autonomy	92%	98% ↗	95% ↘	High	1

ესტონეთი

eua, 2023

კვლევის მეთოდები

- ✓ კვლევის ინსტრუმენტი - რაოდენობრივი კვლევა, კერძოდ ანკეტა-კითხვარი;
- ✓ კვლევის სამიზნე ჯგუფი - უსდ-ს სტუდენტები და კურსდამთავრებულები;
- ✓ მონაცემთა შეგროვების მეთოდი - ელექტრონული გამოკითხვა Google Forms პლატფორმის გამოყენებით;
- ✓ კვლევაში მონაწილეობა მიიღო 153 რესპონდენტმა.

კვლევის შედეგები

- გამოკითხულთა 55.6% არის სტუდენტი, 44.4% - კურსდამთავრებული;
- გამოკითხულთაგან ბაკალავრზე სწავლობს 50.3%, მაგისტრატურაზე - 46.4%, დოქტორანტურაზე - 3.3%;
- გამოკითხულთა დიდი ნაწილი, კონკრეტულ პროგრამაზე ჩაბარების მოტივად ასახელებს დასაქმების რეალურ შესაძლებლობებს (39.2%), ხოლო ყველაზე ნაკლებად აინტერესებდათ ფინანსური კეთილდღეობა (7.2%);
- გამოკითხულთა უმეტობა მიიჩნევს, რომ სასწავლო პროცესი ძირითადად ფოკუსირებულია თეორიული ცოდნის მიღებაზე (56.9%).

კვლევის შედეგები

- პროგრამის სილაბუსებში გაწერილი მიზნებისა და აქტივობების განხორციელების ხარისხი სწავლა-სწავლების პროცესში დადებითად შეაფასა 56.9%-მა, ხოლო უარყოფითად - 6.6%-მა;
- გამოკითხულთა უმეტესობა აღნიშნავს, რომ სასწავლო პროცესი არის ინფორმაციული (76.5%) და თანამშრომლობითი (51.6%), თუმცა ნაკლებად არის ტრანსფორმაციულ (19.6%) და ინკლუზიური (19.6%);
- უსდ-ში მიღებული უნარ-ჩვევები, კარგად გამოიყენა დაახლოებით 43.1%-მა, ვერ გამოიყენა 18.3%-მა.

კვლევის შედეგები

6. რა უნარ-ჩვევები გამოგიმუშავდათ უსდ-ში სწავლისას (შეგიძლიათ მონიშნოთ რამდენიმე ვარიანტი)?

152 პასუხი



კვლევის შედეგები

- სწავლა-სწავლების პროცესში პროფესორები ყველაზე ხშირად იყენებენ: პრეზენტაციებს (85%) და სასემინარო მოხსენებებს (71.9);
- კითხვაზე თუ რა ცვლილებებს შეიტანდნენ სასწავლო პროცესში, პასუხი თითქმის ერთგვაროვანი იყო: პრაქტიკული სწავლების წილს და ქეისებით სწავლების მეთოდის გამოყენების ინტენსივობას გაზრდიდნენ;
- ციტატა: ,,ვისურვებდი, სწავლა-სწავლების პროცესი იყოს სამომავლო პრაქტიკულ საქმიანობასთან მაქსიმალურად დაახლოებული. თეორიული მასალა უნდა იყოს მაქსიმალურად საინტერესო და სტუდენტის განვითარებაზე ორიენტირებული.“
- ,,ქულადობრივი შეფასება სამუდამოდ გაუქმდეს და ფრანგულ წესს შემოვიღებდი, სადაც ქულადობრივი ზღვარი არ არის და არც ამ ქულებით წყდება ადამიანების ცოდნა”.
- გამოკითხულთა უმეტესობას სწავლისას არ გაუვლია არც პროფესიული პრაქტიკა, არც სტაჟირება.

კვლევის შედეგები

14. ხართ თუ არა დასაქმებული საკუთარი პროფესიით (მოცემულ შეკითხვას უპასუხეთ იმ შემთხვევაში, თუ მინიმუმ ბაკალავრიატის კურსდამთავრებული ხართ)

138 responses

კვლევის შედეგები

12. ხუთბალიან სკალაზე განსაზღვრეთ, რამდენად კმაყოფილი ხართ უსდ-ში მიღებული სწავლების შედეგებით.

153 responses



კვლევის შედეგები

- გამოკითხულთა უმეტესობამ (65.1%) აღნიშნა, რომ უსდ-ში მიღებული ცოდნა და უნარ-ჩვევები პროფესიულ საქმიანობაში სრულიად გამოიყენა;
- გამოკითხულთა მხოლოდ 41,8% თვლის, რომ უსდ-ს დასრულების შემდგომ მათი კომპეტენციები სრულად ემთხვეოდა დამსაქმებელთა მოთხოვნებს;
- გამოკითხულთა 49.7% აღნიშნავს, რომ უსდ-ში მიღებული ცოდნა და უნარ-ჩვევები კარგად ინტეგრირდა მათ პირად ცხოვრებაში, სრულად ვერ ინტეგრირდა 17.2%-ისათვის.

დასკვნები

1. ✓ რედპონდენტთა უმეტესობა თვლის, რომ უსდ-ში გამოყენებული სწავლა-სწავლების მეთოდოლოგია ეფექტურია და გამომომუშავებული კომპეტენციები ეხმარებათ, როგორც პროფესიულ საქმიანობაში, ისე ყოველდღიურ ცხოვრებაში;

2. პროფესორები სწავლა-სწავლების პროცესში ყველაზ ხშირად იყენებენ: სასემინარო მოხსენებასა და პრეზენტაციებს.

3. ✓ რესპონდენტთა უმეტესობა არ არის საკუთარი პროფესიით დასაქმებული, თუმცა ისინი თვლიან რომ უსდ-ში მიღებული ცოდნა და შეძენილი უნარ-ჩევვები თავსებადია შრომითი ბაზრის მოთხოვნებთან.

რეკომენდაციები

1.

- სახელმწიფომ და უნივერსიტეტებმა კოლაბორაციულად უნდა აწარმოონ შრომითი ბაზრის კვლევა, რათა დადგინდეს რომელი პროფესიის წარმომადგენელთა სიჭარბე ან ნაკლებობა არის ქართულ შრომით ბაზარზე;

2.

- უნდა განისაზღვროს რა კომპეტენციის მქონე კადრები უნდა მოამზადოს უსდ-მ ამა თუ იმ პროგრამის სწავლების პროცესში, შესაბამისად უნდა გაათანამედროვოს სასწავლო პროგრამები და სწავლა-სწავლების მეთოდოლოგიები;

რეკომენდაციები

3.

- უსდ-მ სტუდენტებს უნდა ასწავლოს თანამედროვე ინფორმაციულ თუ ტექნოლოგიურ პროგრამებთან მუშაობა და პრაქტიკულ საქმიანობაზე მორგება;

3.

- უნდა შედგეს შრომითი ბაზრისა და უსდ-ების აქტიური თანამშრომლობა, რათა სტუდენტთა მხრიდან მოხდეს თეორიული ცოდნის ინტეგრირება პრაქტიკულ საქმიანობაში;

გამოყენებული ლიტერატურა

- ამაშუკელი, მ. ლეჟავა, დ. ჩიტაშვილი, მ. 2022. ,,უმაღლესი განათლება საქართველოში და კურსდამთავრებულთა კომპეტენციების თვითშფასება“. ნეკერი, 2022წ

http://css.ge/wp-content/uploads/%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%98-1-%E1%83%9E%E1%83%A3%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90_%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98.pdf

- ამაშუკელი, მ. ლეჟავა, დ. აკადემიური პროგრამების შედეგებსა და დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს შორის შესაბამისობის კვლევა სოციალურ მეცნიერებებში. თბილისი 2015
https://old.tsu.ge/data/file_db/PR/kvleva.pdf

- ბრეგვაძე, თ. უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიული განვითარება საქართველოში უმაღლესი განათლების პოლიტიკის ანალიზი ხუთი სტრატეგიული მიმართულების მიხედვით, 2013წ.
https://www.tsu.ge/data/file_db/xarisxis_martvis_dep/ganatlebis-politika-5.pdf

გამოყენებული ლიტერატურა

- ფოლადაშვილი, თ. *უმაღლესი განათლების კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობა შრომის ბაზარზე და მისი ამაღლების გზები*, ბათუმი 2022წ.

https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_16368_1.pdf

- ცინცაძე, მ. *სწავლების მეთოდებით სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა თსუ-ს მაგალითზე*, თბილისი 2019.

https://openscience.ge/bitstream/1/855/1/MA%20Mariam%20Tsintsadze.pdf

- ჯიბლაძე, გ. ხუჯაძე, ნ. ძაგანია, ლ. 2011. ,,სტუდენტების დასაქმების ხელშეწყობა საქართველოს უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების მიერ“

http://erasmusplus.org.ge/files/files/Aiding_Student_Employment-ge.pdf

- ტაბატაძე, ლ. საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარზე კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლების პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები, 2016 წ.

https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/175810/1/Disertacia.pdf

გამოყენებული ლიტერატურა

- Eurydice.Higher education.2023. https://eurydice.eacea.ec.europa.eu/national-education-systems/estonia/higher-education?fbclid=IwAR1lgLFivWnRx2OCtqDDE-EUULIOPDQpc-6kQm8wK9Iz5as6R0Bs25XusX4

- Leppik, M. ,,Labour market success of vocation and higher education graduates: Summery and main conclusion“. https://www.hm.ee/sites/default/files/documents/2022-10/labour_market_success_of_graduates-summary.pdf?fbclid=IwAR2ZVADfsrO2FNGj0xAzbBYSxp5Q3zdF3PZOblCfZ4aF4ywVpxd052xYhs4

- eua, University Autonomy in Europe IV, 2023 https://eua.eu/downloads/publications/autonomy%20scorecard%20country%20profiles_batch%202.pdf

- Https://matsne.gov.ge/ka/document/view/32830?publication=108

- https://eqe.ge/res/NewFolder/NewFolder/NewFolder/NewFolder/%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%99%E1%83%94.pdf

- https://docs.google.com/forms/d/1NftDhhL0A8IkAgXkwtt8c_ZkyopYX0aUhbPWyrhfpXQ/edit?ts=65b81c8c#responses

გამოყენებული ლიტერატურა

- Eurydice.Higher education.2023. https://eurydice.eacea.ec.europa.eu/national-education-systems/estonia/higher-education?fbclid=IwAR1lgLFivWnRx2OCtqDDE-EUULIOPDQpc-6kQm8wK9Iz5as6R0Bs25XusX4

- Leppik, M. ,,Labour market success of vocation and higher education graduates: Summery and main conclusion“. https://www.hm.ee/sites/default/files/documents/2022-10/labour_market_success_of_graduates-summary.pdf?fbclid=IwAR2ZVADfsrO2FNGj0xAzbBYSxp5Q3zdF3PZOblCfZ4aF4ywVpxd052xYhs4

- eua, University Autonomy in Europe IV, 2023 https://eua.eu/downloads/publications/autonomy%20scorecard%20country%20profiles_batch%202.pdf

- Https://matsne.gov.ge/ka/document/view/32830?publication=108

- https://eqe.ge/res/NewFolder/NewFolder/NewFolder/NewFolder/%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%99%E1%83%94.pdf

- https://docs.google.com/forms/d/1NftDhhL0A8IkAgXkwtt8c_ZkyopYX0aUhbPWyrhfpXQ/edit?ts=65b81c8c#responses

გმადლობთ ყურადღებისათვის!